სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზია და რადიოს

დირექტორის საქმიანობის

ყოველკვარტალური ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი:

2022 წლის

მეორე კვარტალი

01/04/2022-30/06/2022

2022 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის შეესაბამის ნორმების საფუძველზე, ისე რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელია.

<u>შესავალი</u>

წარმოგიდგენთ 2022 წლის მეორე კვარტალის (აპრილი, მაისი, ივნისი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

<u>ჩვენი წინასწარი დაგეგმვა</u>

2022 წლის მეორე კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო:

- ტექნიკის შეძენა;
- თბილისის ბიუროს ინფასტრუქტურის საკითხებზე მუშაობა;
- სატელევიზო გადაცემა ბიზნესისა და ეკონომიკის შესახებ მომზადება;
- არხის შეფუთვაზე მუშაობა;

კვარტლის მიღწევა

საეთერო ბადეს ორი ახალი პროექტი, ახალგაზრდული თოქ-შოუ „მსხალი“ და მუსიკალური პროექტი „მუს own“ დაემატა. დაიწყო მზადება ახალი სეზონისთვის სადაც გადაცემების უმრავლესობა განახლებული, ახალი შეფუთვით უნდა წარსდგეს ახალ სეზონში მაყურებლის წინაშე.

კვარტლის გამოწვევა

აღნიშნულ კვარტალში მოხდა ორი შენობის მდებარე ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის 16-18 -ში და ქ. ბათუმი მემედ აბაშიძის #41 სატელევიზიო გადაცემების კუთხით ინტეგრირება. მოცემულ შენობაში გაეშვა სტუდია, რომელიც სრულიად არის ინტეგრირებული აჭარის ტელევიზიის ძირითად საეთერო სტუდიასთან.

„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

სააანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ორიენტირებული იყო კანონისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების საკითხებზე. ვცდილობდით გაგვეშუქებინა მთავარი გამოწვევები, აღნიშნული პერიოდი მაუწყებლის მიერ გამოყენებული იქნა რამოდინიმე სავარაუდო ახალი პროექტების მომზადების თვალსაზრისით. დღეის მდგომარეობით მაუწყებლის სტუდიების სამუშოები დასრულებულია და მიმდინარეობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმება.

ტელევიზია-შედეგები:

რადიო-შედეგები:

ინტერნეტი-შედეგები:

ვიდეო მასალები დახარისხდა და პარალელურად აიტვირთა მაუწყებლის youtube არხზე. ფბ გვერდზე გაზიარდა გადაცემების ანონსები, რომელიც მოგვაწოდა მაუწყებლობამ. დავამუშავეთ, დავახარისხეთ და ავტვირთეთ მაუწყებლის ადმინისტრაციისა და მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და სხდომები. ტვ გადაცემების ფბ გვერდებზე - „ეს შუადღე“, „არტ-ექსპერტი“, „ვემსახურები საქართველოს“, „სახალხო კონტროლი“ და ‘’ბუნების კანონი’’, „zoom განათლებაზე“ დაიჭრა და განთავსდა დამოუკიდებლად კონტენტი. აიტვირთა თოქ-შოუები, რომლსაც ამზადებს საინფორმაციო სამსახური. (მთავარი ეკონომიკაში, თავისუფალი სივრცე, სათქმელი, მთავარი).

გთავაზობთ მოქალაქეების ინტერაქციის (კომენტარები, ემოციები, გაზიარებები) მიხედვით კვარტლის მონაცემებს: 1. სტაბილურად აქტიური მომხმარებელი ჰყავს გადაცემა - „ერთი დღე სოფელში“. ბევრი კომენტარი, შეფასება, ემოცია თუ გაზიარება მაუწყებლის გადაცემებს შორის, სწორედ მას ჰქონდა. ამ კვარტალში ამ გვერდზე 161 ათასზე მეტი ადამიანის კომენტარი, ემოცია და გაზიარება დაფიქსირდა. ვიდეოების ნახვები კი საერთო ჯამში 2 მილიონს გადასცდა /2.24M/. 2. მეორე ადგილზე ინტერაქციის მიხედვით, დილის ტალღაა. 38,701 ათასი ადამიანის რეაქცია იყო ამ გვერდის მასალებზე. ვიდეობი 885 ათასზე მეტმა

ადამიანმა ნახა. 3. მესამე ადგილზეა ეს შუადღე, რომლის დინამიკაც მზარდია. 25,621 ინტერაქცია აქვს ამ კვარტალში, საკმაოდ მზარდი დინამიკაა. საერთო ჯამში ვიდეოები 675,374 5/6 პოზიცია მე ვარ ფერმერი და საინფორმაციოს ლაივი - „იერუსალიმში ცეცხლის გარდამოსვლაზე“.

კვარტლის მონაცემებით, აჭარის მაუწყებლის მთავარ გვერდზე აუდიტორიის ჩართულობა რეგიონალურ მედიაორგანიზაციის კვატალურ მონაცემებს უსწრებს. რიგ შემთხვევებში გადავასწარით ცენტრალურ მედიაორგანიზაციებს (ძირითადად) ონლაინ გამოცემებს.

ყველაზე ნახვადი ვიდეო ამ კვარტალში ქართველი ფეხბურთელის გაცილების მოკლე ვიდეო იყო (274 ათასი). ზოგადად, ამ კვარტლის ვიდეოების ნახვების ყველაზე დიდი რაოდენობა დინამო ბათუმის თამაშებზე მოდის და ტოპ-ვიდეოებს შორის არის. აუდიტორია ძალიან ემოციურია ფეხბურთის მატჩების დროს ჩვენს ფბ გვერდზე. შესაბამისად, სპორტული რეპორტაჟები მნიშნელოვანი მიმართულებაა. ტოპ-პოსტებსა და ვიდეობს შორისაა ტრაგედიები (ხოფა, მოსწავლეების დაღუპვა). ასევე, თურქი ბიზნესმენის დაკავება. საუკეთესო 20 ეულში ვერ მოხვდა, მაგრამ ტრადიციულად აქვს ნახვები სტაბილურად (100 ათასამდე) სახალხო კონტროლის მოკლე ნაწილებს.

მსოფლიოში არსებული ვითარებიდან (რუსეთ უკრაინის ომი) გამომდინარე ახალი ამბების სამსახური მუშაობდა საგანგებო რეჟიმში. ახალი ამბების სამსახურში დაემატა დილის 10(ათი) საათიანი საინფორმაციო გამოშვება, რომელშიც ძირითადად მოცემულია გასული ღამის ახალი ამბები და დღის განმავლობაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ამბების ანონსი. მოგეხსენებათ, ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გამო ქვეყნის მასშტაბით იმართებოდა პერიოდული აქციები, რომლებსაც მაქსიმალური ოპერატიულობითა და ობიექტურობით ვაშუქებდით. ახალი ამბების ობიექტივს მიღმა არ დარჩენილა არც ერთი აქტივობა, როგორც პოლიტიკური ასევე სოციალური თუ კულტურული. აღნიშნულ პერიოდში ახალი ამბების რეპორტიორები სხვადასხვა პერიოდულობით მონაწილეობდნენ ბათუმსა და მის ფარგლებს მიღმა გამართულ ტრენიგ-სემინარებსა და მედიატურებში. კვლავ გამოწვევად რჩება, რომ მაუწყებელს არ აქვს წვდომა ,,როიტერსა“ და მასთან გათანაბრებულ საინფორმაციო სააგენტოებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას და ლიცენზირებული ვიდეო მასალის მოწოდებას. ამ უკანასკნელის გამო ხშირად საინფორმაციო გამოშვებების ფეისბუქ ლაივები იბლოკება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის 2022 წლის მეორე კვარტალის აქტივობების ანგარიში.

მიმდინარეობდა ეტაპობრივად მექანიკური პროდუქციის მიღება, შემოწმება და ეთერში განთავსება; საავტორო გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება; ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ პლატფორმაზე მიწოდება, მაქტისატისთვის პროგრამის დამუშავება-მიწოდება;

ბრენდირებული ნივთების შეძენა: 1. ლაითბოქსების ფირები აპრილი-მაისის თვის დღესასწაულებზე 2. ბრენდირებული ბროშები 3. ბრენდირებული ჭიქები 4. მიკროფონის

ბრენდირებული ღრუბლები 5. ლაითბოქსების ფირები 26 მაისი 6. ბრენდირებული მაისურები;

ორგანიზაციებიდან განთავსება; სოციალური ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება და ეთერში განთავსება, ორგანიზაციებიდან შემოსული სარეკლამო რგოლის დამზადება-განთავსება; მეორე კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილები:- ბადეში განთავსდა 3 კონცერტი (გენუის ოპერის ფესტივალი);- მემორანდუმის საერთაშორისო ფარგლებში დოკუმენტური ფილმების ჩვენება, სულ 3 ფილმი; CineDOC-Tbilisi კინოფესტივალის - აღდგომის დღესასწაულის პირდაპირი ტრანსლაცია, 24 აპრილი;- ბადიდან ამოღებული იქნა გადაცემა „უცხო სუნელი“ და ზოლი ჩანაცვლდა მექანიკური პროდუქციით;- მაისის თვეში ჩაეშვა გადაცემა „მუზ-own”-ი;- 26 მაისის ღონისძიებების გაშუქება-ჩვენება (ლოგო, არტები, ტიხრები) და დამატებით ქართული მხატვრული ფილმების განთავსება;- 1 ივნისის (ბავშვთა დაცვის დღე) და 25 მაისის (მეზღვაურთა საერთაშორისო დღე) - ბადეში იყო განთავსებული შესაბამისი არტები, ტიხრები;- გაუთვალისწინებელი ცვლილებები ბადეში დღის მოვლენებიდან გამომდინარე ფეხბურთის პირდაპირი ტრანსლაციები - ეროვნული ლიგა.

დანართი N2: პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი;

<u>რადიო-შედეგები და საჭიროებები;</u>

2022 წლის მეორე კვარტალის მონაცემებით, მიმდინარე სააანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

მიმდინარეობს მოლაპარაკება შემეცნებით გასართობი პროგრამების ავტორებთან გარეწარმოების ხაზით ახალი გადაცემების შეძენასთან დაკავშირებით. წარმატებით დასრულდა შემეცნებით გასართობი პროგრამების წამყვანის პოზიციაზე აყვანილი სტაჟიორების სტაჟირების პროცესი. უკვე შეისწავლეს სამონტაჟო პროგრამები, სიუჟეტების ჩაწერა-მონტაჟის სპეციფიკა და რესპოდენტებთან ურთიერთობების უნარჩვევები. წარმატებით გაართვეს თავი ღია ეთერში მუშაობის პროცეს და მიეცათ რეკომენდაცია აღნიშმულ პოზიციაზე აყვანის თაობაზედ, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ავტორებთან ახალი კონტენტის შექმნა-წარმოებაზე. შემუშავდა და გაიწერა რადიოს საჭიროებებზე მორგებული 2023 წლის ბიუჯეტი. პერიოდულად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლეილისტის გენერაცია - განახლება. მიმდინარე მოვლებიდან გამომდინარე მუსიკალურ პროგრამაში შედარებით მომრავლდა უკრაინელი შემსრულებლების მიერ ნამღერი სიმღერები უკრაინულ ენაზე.

დანართი N3: რადიოს პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის 2022 წლის მეორე კვარტალში განხორციელდა აქტივობები.

შემოქმედებითი მიმართულებით მეორე კვარტალში შემოქმედებითმა ჯგუფებმა გადაცემები აწარმოეს შეუფერხებლად. გარდა რამოდენიმე შემთხვევისა, რაზეც განხორციელდა

ადმინისტრაციული წესით სანქციები. განხორციელდა მივლინებები, გადაცემებისთვის მასალის მოპოვების მიზნით ქვეყნის მაშტაბით. ასევე საზღვარგარეთ მივლინებით იმყოფებოდნენ შემდეგი პროექტების შემოქმედებითი ჯგუფები - გადაცემა „სცენა“ იმყოფებოდა ვატიკანში, სადაც გაშუქდა საქართველოსა და ვატიკანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30(ოცდაათი) წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. გადაცემა „სპორტკლუბი“ იმყოფებოდა ბულგარეთსა და მაკედონიაში საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თამაშები გასაშუქებლად. გადაცემა „ვემსახურები საქართველოს“ იმყოფებოდა უკრაინაში რუსეთ უკრაინის ომის დეტალების გასაშუქებლად. მომზადდა და განთავსდა საეთერო ბადეში დოკუმენტური ფილმები. მეორე კვარტალში დაემატა საეთერო ბადეს ორი ახალი პროექტი, ახალგაზრდული თოქ-შოუ „მსხალი“ და მუსიკალური პროექტი „მუს own“ . მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რომელიც უნდა დასრულდეს 10 აგვისტოს, რაც ითვალისწინებს ახალი სეზინოდან არხის სრულიადან განახლებული შეფუთვით მაყურებლის წინაშე წარდგენას. (იგულისხმება როგორც ახალი ამბების და ასევე შემოქმედებთი სამსახურში წარმოებული პროდუქცია).

<u>**იურიდილი მხარდაჭერა**</u>

2022 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შიდა დოკუმენტი - 1539;

გარედან შემოსული - 198;

კანცელარიიდან გაიგზავნა - 157 წერილი.

რეგისტრაციაში გატარდა:

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 12 ბრძანება;

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - 72 ბრძანება.

პირადი შემადგენლობის შესახებ (03-01) – 40 ბრძანება;

რეგისტრაციაში გატარდა - 347 მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

საფოსტო გზავნილის რაოდენობა - 29.

სასამართლო დავები:

ა) მოსარჩელე: შპს „I. M.J Group” მოპასუხე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ დავის საგანი: მხარეებს შორის 2021 წლის 20 სექტემბერს გაფორმებული #02- 22/176 სახელმწიფო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება. მომზადებული და წარდგენილია შესაგებელი.

ბ)მოსარჩელე:შპს „I. M.J Group” მოპასუხე: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დავის საგანი: მოსარჩელის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების

სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულების ბათილად ცნობა ზემოაღნიშნულ საქმეში (#3/3604-22), თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 02 ივნისის განჩინებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ჩაბმული იქნა მესამე პირად.

გ) მაუწყებლის ყოფილი დირექტორის ნათია კაპანაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა 2022 წლის 06 მაისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ #3- 201-19 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით.

2. **ხელშეკრულებები**

ა) გაფორმდა იჯარის 6 (ექვსი) ხელშეკრულება.

ბ) გაფორმდა 7(შვიდი) ხელშეკრულება სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების შესახებ.

გ) პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმდა 2(ორი) ხელშეკრულება.

დ) გაფორმდა „სხვა ტიპის“ 1 (ერთი) ხელშეკრულება (სსიპ „ლევან სამხარაული სახელონის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან)

ე) 2 (ორი) იჯარა.

ვ) 1 (ერთი) ბარტერი.

მომაზადდა სხვადასხვა სახის ბრძანებები და წერილობითი კორესპოდენცია.

კვარტლის ტენდერები

2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მეორე კვარტალში გამოცხადდა 16(თექვსმეტი) ელექტრონული ტენდერი, მათ შორის: უარყოფითი შედეგით დასრულდა - 5(ხუთი), გამოცხადებულია 1(ერთი), შერჩევა/შეფასების ეტაპზეა - 2 (ორი), მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება - 2(ორ) ტენდერზე, ხოლო 6(ექვსი) შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები. მომზადდა 2(ორი) პროექტი ტენდერის გამოსაცხადებლად. ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

1. 13(ცამეტი) გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;

2. 32 (ოცდათორმეტი) გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;

3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 1(ერთი) ხელშეკრულება.

საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა. აღნიშნული ფუნქციის გასახორციელებლად სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. **ბრძანებები;**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა ბრძანებები პირადი შემადგენლობის შესახებ (დანიშვნა, გათავისუფლება, სტაჟირება, დეკრეტული შვებულება) სულ - 12;

- მათ შორის დეკრეტული შვებულების შესახებ - 1 ბრძანება;
- სტაჟირება/სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ - 3 ბრძანება;
- გათავისუფლების შესახებ - 4 ბრძანება;
- სამსახურში აყვანა/დანიშვნის შესახებ - 4 ბრძანება;

ასევე მომზადდა მაუწყებლის დირექტორის ბრძანებები პირადი შემადგენლობის შესახებ (შვებულება, მივლინება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა) სულ - 288;

2. ხელშეკრულებები;

2022 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ მომზადდა - 10 შრომითი ხელშეკრულება; ასევე მომზადდა 12 შეთანხმება, რის საფუძველზეც ცვლილებები შევიდა შრომის ხელშეკრულებაში.

3. ზოგადი ინფორმაცია;

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული წერილები გაიგზავნა სხვადასხვა უწყებებში;

მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის მეორე კვარტალში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- დასრულდა ე.წ. თითების სტუდიის განახლება. დაიდგა მონიტორები,გამოიცვალა განათება, შეიცვალა სტუდიის დიზაინი. ტექნიკურმა ჯგუფმა მოაწყო ახალი სააპარატო, სტუდია და საეთერო ერთმანეთს ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელით დავაკავშირეთ;
- სტუდია 2 ში გამოიცვალა მონიტორების კედელი. დავამატეთ ახალი ტელევიზორი სონი ბრავია. შეიცვალა ვიზუალი. სურდო-თარჯიმანისთვის მოეწყო ახალი ბექრაუნდი, დავუდგით სუფლიორი;
- დროებით შევცვალეთ მოძრავი ლოგო (საქართველოს და უკრაინის დროშებით);
- 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტის პირდაპირი ეთერის ტრანსლირება ანბანის კოშკის მიმდებარედ;
- ბათუმის მუსიკალური ცენტრი. საქველმოქმედო თუ საანგარიშო კონცერტების ჩაწერა;
- გადაცემა დილის ტალღა. მუზეუმების დღესთან დაკავშირებით ლაივები გაიმართა ციხე პეტრა, ციხე გონიო და ეთნოგრაფიული კუთხე აჭარული სახლიდან;

- გადაცემა ეს შუა დღე 1 ივნისს ბავშვთა დღეს პირდაპირი ეთერი მოსწავლე-ახალგაზრდული პარკიდან;
- აღდგომის ლიტურგიის ტრანსლირება ბათუმის საკათედრო ტაძრიდან;
- რეგულარულად იმართება ბათუმის დინამოს თამაშები ეროვნულ ლიგაში. როგორც ადგილობრივი ასევე გასვლითი მატჩების პირდაპირი ტრანსლირება;
- აჭარის ტელევიზიის და რაგბიტვსთან ურთიერთ შეთანხმებით განხორციელდა ბათუმი-ყოჩების ფინალური შეხვედრის და დაჯილდოების ცერემონიალის ტრანსლაცია;
- აჭარაში ტურისტული სეზონის ოფიციალურად გახნასთან მიძღვნილი ღონისძიების პირდაპირი ეთერი 15 ივნისს.
- აჭარის უმღლესი საბჭოდან სხდომის პირდაპირი ეთერი
- სპეც ეთერი თბილისში მიმდინარე აქციებიდან
- გადაცემა მსხალი. როგორც ბათუმში ასევე წყალტობოში ჩაწერა. მივლინებული იქნა მსს პერსონალი

<u>„შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა</u>

გაცნობებთ, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ახალი ამბების სამსახურში აყვანილ იქნა სტაჟიორი რეპორტიორის თანაშემწის პოზიციაზე;

<u>საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები</u>

მაუწყებელი ღია ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის. განაგრძობს თანამშრომლობას „ამერიკის ხმასთან“.

<u>მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა</u>

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკურ სამსახურში განხორციელებული საქმიანობის ჩამონათვალი.

სტუდიებისა და მსს - ის განყოფილება

შემოქმედების და ახალი ამბების სამსახურის განათებას, პეტლიჩკებს, შტატივებს და კამერებს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, შეძენილი იქნა გარე გადაღების კამერა 3(სამი) ცალი, დამონტაჟდა ლედ მონიტორი, გაკეთდა სტუდია 3 - ის სააპარატო და დაინტეგრირდა ცენტრალურ სააპარატოსთან, გარემონტდა ლაივუ 200, რომლის შეკეთების

სამუშაოები ჩაატარა მწარმოებელმა, ტენდერი დასრულდა და მიმდინარეობს სტუდია 1 - ის გადაკეთება, მოეწყობა საინფორმაციოს, დილის და შუადღის სტუდიები, სტუდია 2 -ში გადაკეთდა ლედ მონიტორი, მოკვლევა დასრულებულია და მომზადდა სატენდერო წინადადებები კამერების, დინამიკების, ტელევიზორების, აკუმულატორების, პირდაპირი ჩართვის აპარატების შესყიდვაზე და ტელევიზიის ტექნიკის შეკეთებაზე.

დასრულდა მოკვლევა და ხორციელდება სატენდერო ტექნიკური პირობების მომზადება განათების, სატელევიზიო კრანის, სატელევიზიო კაბელებისა და „კონეკტორების“ შესაძენად.

დაწყებულია თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, სარემონტო სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.

განხორციელდა სამონტაჟო კომპიუტერების კონფიგურირება, ინსტალაცია; კატრიჯები (კვლევა, დასატუმბი, შესაკეთებელი და ახალი კატრიჯების რაოდენობის განსაზღვრა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება) ქსელური სამუშაოები: მ. აბაშიძის 16-18 ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობა, ინსტალაცია, ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის(AP) მოწყობილობების გამართვა. ფაერვოლისა და როუტერის (Sophos XGS 3100) კონფიგურირება, სამუშაო ჯგუფების შექმნა, პორტებსა და სერვისებთან წვდომის წესების განსაზღვრა, ვებ და ქსელური დაცვის წესების შემუშავება სამუშაო ჯგუფებისა და ქსელების კატეგორიების გათვალისწინებით, ლოგირება და მონიტორინგი. სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი. ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები (ტიტროვშიკი), პროექტების გამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საეთერო სამაუწყებლო კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების შეკეთება, გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. ქსელური ენკოდერების კონფიგურირება რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი. დეტალები (დაზიანებული და ფიზიკურად მოძველებული დეტალების გამოვლენა, ფასთა მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება.) ფერადი პრინტერების ფასთა მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება. კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი. ხელშეკრულების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტით მიღებული იქნა 9 (ცხრა) სამონტაჟო კომპიუტერი.

<u>მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი</u>

ახალი ამბების გამოშვებები და ანალიტიკური გადაცემები მზადდება მაყურებლის დახმარებით. მათი სატელეფონო ზარები და მაუწყებლის ფეისბუქის გვერდზე მიღებული შეტყობინებები არის მნიშვნელოვანი წყარო დაგეგმვის პროცესში.

<u>სამომავლო რისკები და გამოწვევები</u>

მომდევნო კვარტალში უნდა შედგეს დაგეგმილი ტენდერები, გამოცხადებულია აუქციონი, აუქციონის წარმატებით დასრულების შეთხვევაში მხარე იღებს ვალდებულებას შენობა უზრუნველყოს მაუწყებლის 3 (სამი) სატელევიზო სტუდიის სივრცის შექმნაზე. საიჯარო ქირა კი მოხმარდება მაუწყებლის სამომავლო ინტერესებს. მეორე კვარტლის მონაცემებით მაუწყებელს ჰყავს მზარდი მაყურებელი, რომლის შენარჩუნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია გამოწვევაა. თანამშრომელთა წახალისების მიზნით მუშავდება ბრძანება სარეკლამო სიუჟეტის მომზადებასთან დაკავშირებით მაუწყებლის თანამშრომლებზე შესაბამისი ანაზღაურების გაცემის თაობაზე

<u>გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის</u>

გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის მომდევნო თვეების განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებლის ამოცანებია:

- ბიუჯეტით გათვალისწინებული დარჩენილი ტექნიკის შეძენა;
- სატელევიზო გადაცემა ბიზნესისა და ეკონომიკის შესახებ მომზადების თაობაზე შესაბამისი პროცედურების განხორციელება;
- არხის შეფუთვაზე მუშაობა;
- ახალი სეზონისათვის მზადება;

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2022 წლის მეორე კვარტალის

ფინანსური ანგარიში

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 **წლის მეორე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა** 3.393.565,00 **ლარს** (6 **თვის მდგომარეობით** 6.809.530,00 **ლარი**), **ფაქტიურად დაიხარჯა** 3.219.357,82 **ლარი** (6 **თვის მდგომარეობით** 5.934.664,74 **ლარი**). **გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 3 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 94,87%-**ს**, **ხოლო** 6 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 87,15%-**ს**.

მათ შორის:

- **სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან** 2022 **წლის მეორე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა** 3.353.565,00 **ლარს** (6 **თვის მდგომარეობით** 6.716.530,00 **ლარი**), **ფაქტიურად დაიხარჯა** 3.207.700,59 **ლარი**. (6 **თვის მდგომარეობით** 5.886.011,04 **ლარი**). **გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 3 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 95,65%-**ს**, **ხოლო** 6 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 87,63%-**ს**.

- **ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან** 2022 **წლის მეორე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა** 40.000,00 **ლარს** (6 **თვის მდგომარეობით** 93.000,00 **ლარი**), **გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს** 11.657,23 **ლარს** (6 **თვის მდგომარეობით** 48.653,70 **ლარი**). **გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 3 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 29,14%-**ს**, **ხოლო** 6 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 52,32%-**ს**.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2022 **წლის მეორე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით** (**იხ. დანართი** N1).

2022 **წლის მეორე კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული** (**დარიცხული**) **შემოსავლების თანხა შეადგენს** 41.204,50 **ლარი**.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (**დარიცხული**) **შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით** (**იხ. დანართი** N2).

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის II კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (დარიცხული) შემოსავლები

დასახელება	თანხა
შემოსავლები სატელევიზიო ეთერში ბანერის, პროდუქტის და სასპონსორო ტიხრების განთავსების მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით)	7.100,00
შემოსავლები კომერციული რეკლამიდან (დღგ-ს ჩათვლით)	13.532,00
შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით)	20.572,50
სულ	41.204,50

განმარტებითი ბარათი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2022 წლის მეორე კვარტალის ფინანსურ ანგარიშთან დაკავშირებით

2022 **წლის მეორე კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 6 **თვის მდგომარეობით სულ შეადგენს** 87,15 %-**ს**.

კოდი	დასახელება	სულ საბიუჯეტო (გრანტი) და არასაბიუჯეტო სახსრები			
		საანგარიშო პერიოდი: 01/01/2022 – 30/06/2022			
42 01 02	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო	გეგმა	გადახდა	რესურსი	შესრულების %
	2.1 - შრომის ანაზღაურება	968.700,00	947.645,97	21.054,03	97,83%
	2.2 - საქონელი და მომსახურება	4.130.050,00	3.673.680,57	456.369,43	88,95%
	2.7 - სოციალური უზრუნველყოფა	35.600,00	30.735,15	4.864,85	86,33%
	2.8 - სხვა ხარჯები	153.630,00	94.046,05	59.583,95	61,22%
	31 - არაფინანსური აქტივების ზრდა	1.521.550,00	1.188.557,00	332.993,00	78,11%
სულ ჯამი		6.809.530,00	5.934.664,74	874.865,26	87,15%

მათ შორის:

- **საბიუჯეტო სახსრებით გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 6 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 87,63%-**ს**.

კოდი	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები (გრანტი)			
		საანგარიშო პერიოდი: 01/01/2022 – 30/06/2022			
42 01 02	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო	გეგმა	გადახდა	რესურსი	შესრულების %
	2.1 - შრომის ანაზღაურება	968.700,00	947.645,97	21.054,03	97,83%
	2.2 - საქონელი და მომსახურება	4.063.850,00	3.636.935,15	426.914,85	89,49%
	2.7 - სოციალური უზრუნველყოფა	35.600,00	30.735,15	4.864,85	86,33%
	2.8 - სხვა ხარჯები	132.130,00	82.137,77	49.992,23	62,16%
	31 - არაფინანსური აქტივების ზრდა	1.516.250,00	1.188.557,00	327.693,00	78,39%
სულ ჯამი		6.716.530,00	5.886.011,04	830.518,96	87,63%

- **არასაბიუჯეტო სახსრებით გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 6 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 52,32%-**ს**.

კოდი	დასახელება	არასაბიუჯეტო სახსრები			
		საანგარიშო პერიოდი: 01/01/2022 – 30/06/2022			
42 01 02	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო	გეგმა	გადახდა	რესურსი	შესრულების %
	2.1 - შრომის ანაზღაურება	0,00	0,00	0,00	0,00%
	2.2 - საქონელი და მომსახურება	66.200,00	36.745,42	29.454,58	55,51%
	2.7 - სოციალური უზრუნველყოფა	0,00	0,00	0,00	0,00%
	2.8 - სხვა ხარჯები	21.500,00	11.908,28	9.591,72	55,39%
	31 - არაფინანსური აქტივების ზრდა	5.300,00	0,00	5.300,00	0,00%
სულ ჯამი		93.000,00	48.653,70	44.346,30	52,32%

მუხლებში რესურსები გამოწვეულია:

2.1. **შრომის ანაზღაურების მუხლში რესურსი გამოწვეულია**:

1. მრჩეველთა საბჭოს ჰონორარის მუხლში არსებული რესურსით;
2. საშტატო პოზიციებში არსებული ვაკანსიებით;

2.2. **საქონელი და მომსახურების მუხლში არსებული რესურსი გამოწვეულია**:

1. შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ნაწილში არსებული რესურსით, ასევე საქართველოს კანონის "დაგროვებითი პენსიის შესახებ" - მუხლი 3, პუნქტი 6, ა) ქვეპუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული თანხის სახელმწიფო ხაზინის მიერ დაფინანსებით;
2. მრჩეველთა საბჭოს აპარატის შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ნაწილში არსებული რესურსით;
3. მრჩეველთა საბჭოს მიერ სხვადასხვა საქონლის/მომსახურებ(ებ)ის შესყიდვის განუხორციელებლობით;
4. მრჩეველთა საბჭოს მივლინებ(ებ)ის რესურსით;
5. სატელევიზო გადაცემების სტუდიების მოწყობის სამუშაოების (მ.აბაშიძის ქ. N41 მდებარე სატელევიზიო გადაცემების სტუდიების (საინფორმაციო/ახალი ამბების, დილის და შუადღის) მოწყობის სამუშაოების ნაწილში, ღირებულებით 75 232,00 ლარი) შესყიდვაზე გაფორმებულია ხელშეკრულება (02-22/133_20.06.22), დაფინანსება დამოკიდებულია ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე (შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე);
6. მაუწყებლის მიერ სხვადასხვა საქონელის/მომსახურებ(ებ)ის შესყიდვის განუხორციელებლობით;
7. სხვადასხვა მიმდინარე და უწყვეტ მომსახურებებზე მომწოდებლების მიერ ანგარიშსწორების დოკუმენტების დაგვიანებით წარმოდგენის გამო, ანგარიშსწორება განხორციელდა მ/წლის ივლისის თვეში.

31. **არაფინანსური აქტივების მუხლში გათვალისწინებული სატელევიზიო ტექნიკის/აპარატურის შეძენა/მოწოდება ვერ განხორციელდა შემდეგ გარემოებათა გამო**:

- ვიდეოკამერისა და განათების აკუმულატორების შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი 1 შემთხვევაში დასრულდა უარყოფითი შედეგით. განმეორებით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT220012822_01.07.22);
- ტელევიზორ(ებ)ის (სტუდიებისათვის) შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი, 2 შემთხვევაში დასრულდა უარყოფითი შედეგით. განმეორებით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება;
- პროფესიონალური დინამიკების შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი, 1 შემთხვევაში დასრულდა უარყოფითი შედეგით. განმეორებით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გაფორმებულია ხელშეკრულება (02-22/130_13.06.22) დაფინანსება დამოკიდებულია ფაქტობრივად მოწოდებულ საქონელზე (შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღე);
- მრავალფუნქციური პრინტერები, სკანერების შესყიდვაზე გამოცხადებული ელეტრონული ტენდერი შედგა, გაფორმებულია ხელშეკრულება (02-22/147_06.07.22) დაფინანსება დამოკიდებულია ფაქტობრივად მოწოდებულ საქონელზე (შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე);
- სტუდიის განათება და აქსესუარების, სტუდიებისა და მსს-ისათვის ვიდეოკამერის ამწეს შესაძენად სატენდერო პროექტი მომზადებულია, მიმდინარეობს წარმოადგენილი პროექტ(ებ)ის განხილვა;
- სხვადასხვა ტექნიკის/აპარატურის შესაძენად მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები/მოკვლევები, კერძოდ:
  - საფრენი (დრონი) ვიდეოკამერა;
  - ვიდეოკამერების მეხსიერების ბარათები/გადამყვანები;
  - მიკროფონების და აქსესუარები;
  - ინტერნეტში პირდაპირი სტრიმინგის მოწყობილობა;
  - ელექტრონული მოწყობილებები, ვიდეოსაკონფერენციო სისტემის კომპლექტი (მრჩეველთა საბჭო);
- შესყიდვების სააგენტოს მიერ არ გამოცხადებულა კონსოლიდირებული ტენდერი, რის გამოც საოფისე კომპიუტერების შესყიდვა ვერ განხორციელდა.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის II კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)				საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)			
	აპრილი	მაისი	ივნისი	სულ	აპრილი	მაისი	ივნისი	სულ
სულ	1.274.410,85	1.043.808,77	889.480,97	3.207.700,59	4.543,59	3.995,84	3.117,80	11.657,23
მრჩეველთა საბჭო	40.376,92	27.767,84	26.161,09	94.305,85	56,00	63,00	65,10	184,10
მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი	20.470,00	20.470,00	20.470,00	61.410,00	0,00	0,00	0,00	0,00
მრჩეველთა საბჭოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	4.750,00	4.750,00	4.750,00	14.250,00	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	0,00	2.369,38	759,68	3.129,06	0,00	0,00	0,00	0,00
აუდიტორული მომსახურება	14.762,98	0,00	0,00	14.762,98	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური სატელეფონო მომსახურება	181,09	178,46	181,41	540,96	0,00	0,00	0,00	0,00
კანცელარიის პროგრამული მომსახურების ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	56,00	63,00	65,10	184,10
სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	212,85	0,00	0,00	212,85	0,00	0,00	0,00	0,00
ადმინისტრაცია	254.669,02	293.547,19	273.183,85	821.400,06	1.640,00	427,00	522,17	2.589,17
თანამდებობრივი სარგო	134.055,26	134.706,94	136.390,05	405.152,25	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	50.406,83	49.544,73	51.275,71	151.227,27	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა (შტატი)	644,74	515,79	1.018,17	2.178,70	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე)	789,48	0,00	0,00	789,48	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	500,00	240,00	445,00	1.185,00	0,00	0,00	0,00	0,00
თანამშრომელთა დაზღვევა	10.165,00	10.130,00	0,00	20.295,00	0,00	0,00	0,00	0,00
ბეჭდვითი მომსახურება (სამსახ. მოწმობები (ბეჯი), ტურნიკეტის ბარათები, სერტიფიკატები, სავიზიტო ბარათები და სხვა)	170,00	55,00	0,00	225,00	0,00	0,00	0,00	0,00
მარაგების აღრიცხვის და კანცელარიის კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯები	0,00	0,00	0,00	0,00	264,00	297,00	306,90	867,90
ჟურნალ-გაზეთების შეძენა	0,00	8,40	14,40	22,80	0,00	0,00	0,00	0,00
კატრიჯების შეძენა	0,00	0,00	5.015,00	5.015,00	0,00	0,00	0,00	0,00
მცირეფასიანი და ძირითადი აქტივის შეძენა (წყლის გამაცხელებელი, მტვერსასრუტი და სხვა)	0,00	1.390,00	470,00	1.860,00	0,00	0,00	0,00	0,00
საოფისე ავეჯის შეძენა	0,00	0,00	14.929,00	14.929,00	0,00	0,00	0,00	0,00
გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები	0,00	0,00	0,00	0,00	65,00	115,00	0,00	180,00
სამეურნეო საქონლის და სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი	1.337,00	1.304,00	0,00	2.641,00	0,00	0,00	0,00	0,00
ელ სადენი და კაბელის აქსესუარების შეძენა	266,00	0,00	0,00	266,00	0,00	0,00	0,00	0,00
კოვიდტესტების ლაბორატორიული მომსახურება, სანიტარულ-ჰიგიენური და საწმენდი საშუალებები	1.108,00	0,00	0,00	1.108,00	1.082,10	15,00	0,00	1.097,10
ფარმაცევტული პროდუქტები, სადეზინფეციო საშუალებები და შენობების სადეზინფექციო სამუშაოები	1.345,00	0,00	228,00	1.573,00	0,00	0,00	0,00	0,00
შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება	953,48	748,52	753,53	2.455,53	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური ტელეფონების ხარჯი	2.502,17	2.366,12	2.363,11	7.231,40	0,00	0,00	0,00	0,00
ინტერნეტით მომსახურების ხარჯი	2.630,00	2.630,00	2.630,00	7.890,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-პოსტიგი	0,00	1.500,00	3.000,00	4.500,00	0,00	0,00	0,00	0,00
საფოსტო მომსახურება	115,92	41,60	102,08	259,60	0,00	0,00	0,00	0,00
ელ.ენერგიის ხარჯი (ანძების ჩათვლით)	14.663,03	10.288,30	7.324,28	32.275,61	0,00	0,00	0,00	0,00
წყალის და წყალანირების ხარჯი	484,30	628,45	611,14	1.723,89	0,00	0,00	0,00	0,00
შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერაგიზაციის ხარჯი	0,00	596,00	298,00	894,00	0,00	0,00	0,00	0,00
მაუწყებლის შენობის და ომბალაურის გადამცემი სადგურის დიზელ-გენერატორების საწვავის შეძენის ხარჯი	0,00	0,00	1.209,00	1.209,00	0,00	0,00	0,00	0,00
საკაბელო სატელევიზიო მომსახურება	88,00	88,00	88,00	264,00	0,00	0,00	0,00	0,00
საკორესპოდენტო ბიურო(ებ)ს ოფისის დაქირავების ხარჯი	0,00	1.350,00	2.200,00	3.550,00	0,00	0,00	0,00	0,00
სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	228,90	0,00	215,27	444,17
საბაჟო/საბროკერო და სხვა ადმინისტრაციული მომსახურება	3.346,26	1.000,00	0,00	4.346,26	0,00	0,00	0,00	0,00
საწვავი (ავტომანქანებზე)	24.941,70	19.659,03	19.954,75	64.555,48	0,00	0,00	0,00	0,00
ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი	1.400,20	2.140,70	2.059,32	5.600,22	0,00	0,00	0,00	0,00
ტრანსპორტის რეგისტრაციის ხარჯი	0,00	1.317,00	455,00	1.772,00	0,00	0,00	0,00	0,00
GPS-ის მოწყობილობის მეშვეობით ავტომობილების კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურება	416,53	416,53	416,53	1.249,59	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკის მოგლა შენახვის ხარჯი/მანქანის აკუმულატორები/ზეთები/ფილტრები	441,10	89,10	532,80	1.063,00	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების ტექ.დათვალიერების/ინსპექტირების ხარჯი	100,00	200,00	60,00	360,00	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების საბურავების შეძენის ხარჯი	0,00	0,00	646,00	646,00	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების დაზღვევა	286,68	277,44	286,68	850,80	0,00	0,00	0,00	0,00
სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი	227,04	277,04	254,20	758,28	0,00	0,00	0,00	0,00
დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან	20,00	0,00	340,00	360,00	0,00	0,00	0,00	0,00
ფინანსური დოკუმენტაციის შეკერვა (დამუშავება)	100,00	0,00	0,00	100,00	0,00	0,00	0,00	0,00
შენობის დაცვა (ორბელიანის ქუჩა)	1.032,50	1.032,50	1.032,50	3.097,50	0,00	0,00	0,00	0,00
ადმინისტრაციული შენობის დაცვა	0,00	33.200,00	16.600,00	49.800,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატენდერო/აუქციონის განცხადებების, ქონების რეგისტრაციის, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საფასური და სხვა	0,00	550,00	50,00	600,00	0,00	0,00	0,00	0,00
კომპიუტერის ანტივირუსის მომხმარებლის ლიცენზია	0,00	15.130,00	0,00	15.130,00	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (სატელეფონო მომსახურება)	14,40	12,80	12,00	39,20	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელ. მომსახურება)	118,40	113,20	119,60	351,20	0,00	0,00	0,00	0,00
ახალი ამბები	137.168,78	131.235,84	133.583,46	401.988,08	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	130.577,38	127.483,02	130.473,68	388.534,08	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	0,00	2.011,57	2.214,78	4.226,35	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	6.591,40	1.741,25	895,00	9.227,65	0,00	0,00	0,00	0,00

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)				საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)			
	აპრილი	მაისი	ივნისი	სულ	აპრილი	მაისი	ივნისი	სულ
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	480.640,60	487.683,32	235.052,43	1.203.376,35	601,02	774,19	798,25	2.173,46
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	207.716,84	207.670,23	211.235,51	626.622,58	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	16.064,88	9.929,00	15.072,32	41.066,20	0,00	0,00	0,00	0,00
მიკროფონის ღრუბლები იმპორტის გადასახადის ჩათლით	0,00	0,00	4.968,00	4.968,00	0,00	0,00	0,00	0,00
შეკვეთით ნაბეჭდი მასალის, ბანერების ბეჭდვა-დამზადება (ლაითბოქსების ვიზუალის/ფირების ბეჭდვა, ბრენდირება	720,00	720,00	0,00	1.440,00	0,00	0,00	0,00	0,00
სარეკლამო ბანერის განთავსება (ბილბორდი)	0,00	390,00	793,00	1.183,00	0,00	0,00	0,00	0,00
ბრენდირებული საქონელი და ატრიბუტიკა	0,00	4.946,00	0,00	4.946,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი	0,00	0,00	0,00	0,00	300,97	354,19	0,00	655,16
სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	300,00	300,00
ნამზადების შეძენა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	420,00	373,25	793,25
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა/გახმოვანება	250.525,00	260.000,00	0,00	510.525,00	0,00	0,00	0,00	0,00
საავტორო უფლებების შესყიდვა/მუსიკალური ნაწარმოები (ფონი)	1.000,00	0,00	0,00	1.000,00	0,00	0,00	0,00	0,00
კოსმეტიკური საშუალებების შეძენა (სტილისტი+ვიზაჟისტი)	1.087,00	498,50	0,00	1.585,50	300,05	0,00	125,00	425,05
საავტორო უფლებების ჰონორარი	3.526,88	3.529,59	2.983,60	10.040,07	0,00	0,00	0,00	0,00
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	37.877,10	41.696,98	40.873,45	120.447,53	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	35.277,10	36.326,45	38.228,00	109.831,55	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	0,00	210,53	45,45	255,98	0,00	0,00	0,00	0,00
რადიოვიზუალიზაციის პროგრამის 1 წლიანი ტექნიკური მხარდაჭერა	0,00	2.560,00	0,00	2.560,00	0,00	0,00	0,00	0,00
გარეწარმოების გადაცემების შესყიდვა	2.600,00	2.600,00	2.600,00	7.800,00	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკური უზრუნველყოფა	318.614,44	57.003,21	175.743,82	551.361,47	0,00	0,00	0,00	0,00
ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური	20.438,00	20.438,00	20.438,00	61.314,00	0,00	0,00	0,00	0,00
FM რადიოსიგნალის სარელეო ხაზით გავრცელების საფასური	870,00	870,00	870,00	2.610,00	0,00	0,00	0,00	0,00
FM რადიოგადამცემების სადგურების განთავსების იჯარა	3.844,00	3.844,00	3.844,00	11.532,00	0,00	0,00	0,00	0,00
თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი)	24.671,20	23.723,20	26.406,22	74.800,62	0,00	0,00	0,00	0,00
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	2.741,24	2.635,91	0,00	5.377,15	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტის (მთაწმინდა) მომსახურება	250,00	250,00	250,00	750,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო სიგნალის HD გავრცელება სილქნეტის საკაბელო ტელევიზიის ქსელში	250,00	250,00	250,00	750,00	0,00	0,00	0,00	0,00
ვიდეო სიგნალის კონვერტორი	0,00	3.700,00	0,00	3.700,00	0,00	0,00	0,00	0,00
ვიდეოკამერის კომპლექტი	0,00	0,00	29.995,60	29.995,60	0,00	0,00	0,00	0,00
აუდიო-ვიდეო კონექტორები და კაბელები	0,00	1.292,10	0,00	1.292,10	0,00	0,00	0,00	0,00
გრაფიკული (ვიდეოსამონტაჟო) სამუშაო სადგურის შეძენა	0,00	0,00	93.690,00	93.690,00	0,00	0,00	0,00	0,00
შუქდიოდური ლედმონიტორის შეძენა/ნამთიდან	171.895,00	0,00	0,00	171.895,00	0,00	0,00	0,00	0,00
შუქდიოდური ლედმონიტორის შეძენა	93.655,00	0,00	0,00	93.655,00				0,00
სხვა გადასახდელები	5.063,99	4.874,39	4.882,87	14.821,25	2.246,57	2.731,65	1.732,28	6.710,50
არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ	4.934,24	4.744,64	4.753,12	14.432,00	0,00	0,00	76,05	76,05
საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები	0,00	0,00	0,00	0,00	2.246,57	2.731,65	1.656,23	6.634,45
დასუფთავების მოსაკრებელი	129,75	129,75	129,75	389,25	0,00	0,00	0,00	0,00